დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

13 მაისი 2024

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - ნინო

გვარი - დოლიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში National Security Policy in Public Administration
2	უმაღლესი განათლების საფეხური	II საფეხური
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში Executive Master of Business Administration (EMBA) in Public Administration
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
9	განხორციელების ადგილი[5]	1) უნივერსიტეტის ქუჩა #2, თსუ X

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

		(მაღლივი) კორპუსი, ქ. თბილისი, 0186, საქართველო; 2) დანიელ ჭონქაძის ქუჩა #20, ქ. თბილისი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული (14/02/2023; #N174635)
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 07 თებერვალი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2024 წლის 07 თებერვალი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 31 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

I. 1.2 - სწავლის პირველი და მეორე შედეგები ჩამოყალიბდეს ახალი ფორმულირებით, სამაგისტრო საფეხურის სირთულის შესაბამისი ზმნებით;

II. 1.4.1. - საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსის ჩანაცვლება სხვა დისციპლინით, რომელიც უფრო რელევანტურია პროგრამისათვის. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკის დიზაინისა და ანალიზის კურსი, რომელიც პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგიის შესწავლას მოიცავს, სავალდებულოა საჯარო სექტორში სტრატეგიებსა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მომუშავე მოხელეებისათვის;

III. 1.4.2. - კურსი ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში, მეორე სემესტრის ნაცვლად, ჩატარდეს პირველ სემესტრში და გახდეს სტრატეგიული ლიდერობის წინაპირობა;

IV. 1.5.1 - სავალდებულო საგნების სილაბუსებში გადაიხედოს ლიტერატურის მოცულობა და განისაზღვროს ის რეალური რაოდენობა, რისი ათვისებაც სტუდენტს ერთი კურსის ფარგლებში შეუძლია, შემცირდეს როგორც ლიტერატურის ჩამონათვალი (ძირითადი და დამხმარე), ასევე თითოეულ ლექციაზე საკითხავად განსაზღვრული გვერდების რაოდენობა; ხოლო იმ კურსებში, სადაც შემუშავებულია რიდერები, შესაბამისი მითითება მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში;

V. 1.5.2 - აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსში მეტად მოხდეს ფოკუსირება მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე რაოდენობრივი თუ თვისებრივი მეთოდებით;

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

VI. 1.5.3 - გადაიხედოს კურსის „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ სილაბუსის შინაარსი და გამდიდრდეს ის საჯარო ორგანიზაციებისათვის სპეციფიკური თემებით (მაგალითად, პერსონალის მართვა სსიპებსა და ა(ა)იპებში, რეკრუტირება, მოხელეთა კარიერული და პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეფასება და სხვა), ასევე დაემატოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განხილვა;

VII. 1.5.4 - სილაბუსებში შეფასების რუბრიკა ფორმულირდეს ისე, რომ ასახავდეს კონკრეტული საგნის სპეციფიკას, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი სწავლის შედეგის მიღწევა;

VIII. 1.5.5 - გადაიხედოს პრაქტიკული (პროფესიული) პროექტის სილაბუსი და გამდიდრდეს ის პრაქტიკული პროექტის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, მათ შორის უნდა იყოს, პროექტის სტრუქტურა, ცალკეული ეტაპების განხორციელების ვადები და თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკა;

IX. 4.1 - გაიზარდოს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში დარგობრივი მიმართულებით უსდ-სთან ასოცირებული, დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგების ჩართულობა; ამისათვის პროგრამის აკადემიური პერსონალი გამდიდრდეს პოლიტიკის მეცნიერებების ან უსაფრთხოების პროგრამების პროფესორების მოწვევის, ასევე თიას-სიდან მოწვეული პერსონალისთვის რაიმემ სახის აკადემიური თანამდებების კონტრაქტის შეთავაზების ხარჯზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას და განვითარებას;

X. 4.2 - უსდ-მ მოახდინოს დამატებით კადრების მობილიზება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის ანდა პროექტის შესრულებისას მოწვეული პერსონალიდან მოახდინონ თანახელმძღვანელის დანიშვნა, რადგან 3 პირი არ იქნება საკმარის, რათა 25 კაცს გაუწიოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

უსდ-მ ანგარიში პროგრამის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოადგინა 2024 წლის 1 თებერვალს. საბჭოს გადაწყვეტილებით, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 7 თებერვალი.

მიცემულ ვადაში სამუშაო პროცესში ჩართული პირები იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის წარმომადგენლები.

სამუშაო პროცესი მოიცავდა სისტემატურ შეხვედრებს პროგრამის კურიკულუმის დახვეწისა და გაფართოვების მიზნით. შეფასებისათვის განახლებული პროგრამა მიეწოდა ფაკულტეტისა და უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით პროგრამა წარდგენილ იქნა დასამტკიცებლად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოსა და თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე.

რჩევ(ებ)ი[8]

I. 1.3 - სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს კურსის მიმდინარეობის პროცესშიც, ხოლო მიღებული მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნას კურსის გაუმჯობესებისათვის მის დასრულებამდე;
II. 2.3 - შემდეგ კურსებში: ლოჯისტიკა საჯარო სექტორში, უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები, სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები, სტრატეგიული ლიდერობა, სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში -სასურველია სწავლების მეთოდებს შორის სიტუაციის ანალიზის, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის სიმულაციური პროგრამების გამოყენება;
III. 4.5 - დარწმუნდით, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსება ადეკვატურია, ინკლუზიურია და საკმარისია ყველა სტუდენტის, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალისთვის. ჩაატარეთ დამატებითი კვლევები მივლინებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერით ფაკულტეტის რამდენმა პროცენტმა ისარგებლა და დაადგინეთ დაფინასების სუსტი წერტილები, რათა მოახდინოთ ბიუჯეტის უფრო ეფექტიანი და ინკლუზიური ხარჯვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რჩევების განხილვის, გათვალისწინებისა და პროგრამის შესაბამისი განახლების პროცესი მიმდინარეობდა ზემოთ აღწერილი პროცესის ანალოგიურად, იმავე პირთა ჩართულობით.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)
[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისა საბჭოს მიერ დაფიქსირებულ რჩევებთან მიმართებით, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ მათი გათვალისწინება მოხდება პროგრამის მიმდინარეობის პარალელურად. კერძოდ: სასწავლო პროცესის მიმდინარე შეფასებები განხორციელდება ფაკულტეტისა და თავდაცვის აღმშენებლობის სკოლის ხარისხის სამსახურების მიერ (რჩევა N1); მოხდება სასწავლო კურსების პრაქტიკული სწავლებების განხორციელებისას სიმულაციური სწავლების პროგრამების გამოყენება (JCAT, LMS, LXP და სხვ.) (რჩევა N2); ბიუჯეტით გამოყოფილ დაფინანსების ეფექტიან და ინკლუზიურ ხარჯვაზე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ შესაბამისი მონიტორინგი განხორციელდება (რჩევა N3).

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	სტანდარტი 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14] 1.2	სწავლის პირველი და მეორე შედეგები ჩამოყალიბდეს ახალი ფორმულირებით, სამაგისტრო საფეხურის სირთულის შესაბამისი ზმნებით.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია**; პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსებში ყველგან შეიცვალა/განახლდა სწავლების შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), კერძოდ, სწავლის შედეგები განისაზღვრა ბლუმის მაღალი მე-4, მე-5 და მე-6 ტაქსონომიის მიხედვით (გაანალიზება, შეფასება, შექმნა).
რჩევა[15]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები - AW100,

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	PS100, SL100, GS100, SC100, SM100, HR100, LG100, ES100, MA, IS100, DP100, TC100, LP100, PF100, PR100; ამონაწერები კათედრის სხდომის ოქმებიდან; ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808 .

სტანდარტის დასახელება[16]	სტანდარტი 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[17]	1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია [18]	ამ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაცია არ გაცემულა
შეფასება	n/a
რჩევა I [19]	სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს კურსის მიმდინარეობის პროცესშიც, ხოლო მიღებული მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნას კურსის გაუმჯობესებისათვის მის დასრულებამდე;
შეფასება	უსდ-ს ინფორმაციით, რჩევების გათვალისწინება მოხდება სასწავლო პროცესის პარალელურად, კერძოდ, შეფასებები განხორციელდება ფაკულტეტისა და თავდაცვის აღმშენებლობის სკოლის ხარისხის სამსახურების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, რჩევის შესრულების შესახებ დასკვნის გაკეთება არ მოხდა.
მტკიცებულებ(ები)ა	მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,

[16]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[17]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[20]	საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსის ჩანაცვლება სხვა დისციპლინით, რომელიც უფრო რელევანტურია პროგრამისათვის. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკის დიზაინისა და ანალიზის კურსი, რომელიც პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგიის შესწავლას მოიცავს, სავალდებულოა საჯარო სექტორში სტრატეგიებსა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მომუშავე მოხელეებისათვის.
შეფასება	არჩევითი სასწავლო კურსი „საზოგადოებასთან ურთიერთობები“ ჩანაცვლდა სხვა არჩევითი ახალი სასწავლო კურსით „ეროვნული უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება“, რომელიც, უსდ-ს განცხადებით, მიმართულია ექსპერტთა მიერ მითითებული უნარების განვითარებისკენ (სტრატეგიებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და ანალიზი). რაც შეეხება ექსპერტთა შეთავაზებას კურსის "პოლიტიკის დიზაინი და ანალიზი" დამატებასთან დაკავშირებით, უსდ-ს მოსაზრებით, შესაბამის თემატიკას ფარავს კურიკულუმში სავალდებულო სტატუსით არსებული კურსი ″უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები,″ რომლის ფარგლებში შეისწავლება სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი და პოლიტიკისა და სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების სხვადასხვა მეთოდები და პროცესები.
რჩევა[21]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსის „ეროვნული უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება“ LP100 სილაბუსი;

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	სასწავლო კურსის "უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები" სილაბუსი; კათედრის სხდომის ოქმები; ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808

სტანდარტის დასახელება[22]	სტანდარტი 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[23]	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III [24]	კურსი ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში, მეორე სემესტრის ნაცვლად, ჩატარდეს პირველ სემესტრში და გახდეს სტრატეგიული ლიდერობის წინაპირობა
შეფასება	**რეკომენდაცია არ შესრულებულა.** უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი არგუმენტაცია. კერძოდ: კურსი „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ შესაძლებელია, რომ გახდეს “სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში“ კურსის წინაპირობა, რადგან „სტრატეგიული ლიდერობა“ გათვლილია სამხედრო მეთაურებისა და ლიდერობის უნარებისა და თეორიების შესწავლაზე, ხოლო სტრატეგიული მენეჯმენტი - საჯარო სექტორში მენეჯმენტის დაგეგმვაზე. გარდა ამისა, უსდ-ს განცხადებით, კურსი „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მისცემს საჯარო ორგანიზაციაში დასაქმებულ პირებს ადამიანური რესურსების დაგეგმვისა და მართვის ძირითად საკითხებზე, შესაბამისად, უსდ-ს არამიზანშეწონილად მიაჩნია მისი რომელიმე კურსის

[22]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[23]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	წინაპირობად განსაზღვრა. ამიტომ, პროგრამის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, პროგრამის განხორციელების პირველ წელს სასწავლო კურსი დარჩება და განხორციელდება სტრატეგიული მენეჯმენტის პარალელურად, წინაპირობის გარეშე, ხოლო შემდეგ სასწავლო წელში, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, განიხილება კურსის მეორე სემესტრში გადატანის და სტრატეგიული მენეჯმენტის წინაპირობად განსაზღვრის საკითხი.
რჩევა[25]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები - HR100, SM100 და SL100; კათედრის სხდომის ოქმები; ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808 .

სტანდარტის დასახელება[26]	სტანდარტი 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[27]	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IV [28]	სავალდებულო საგნების სილაბუსებში გადაიხედოს ლიტერატურის მოცულობა და განისაზღვროს ის რეალური რაოდენობა, რისი ათვისებაც სტუდენტს ერთი კურსის ფარგლებში შეუძლია, შემცირდეს როგორც ლიტერატურის ჩამონათვალი (ძირითადი და დამხმარე), ასევე თითოეულ ლექციაზე საკითხავად განსაზღვრული გვერდების რაოდენობა; ხოლო იმ კურსებში, სადაც შემუშავებულია რიდერები,

[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[27]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შესაბამისი მითითება მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საკითხავი მასალის მოცულობა შემცირდა რამდენიმე კურსის ფარგლებში და დაიყო ძირითად და დამხმარე საკითხავ მასალებად (კურსები "საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოება", „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა", „სტრატეგიული ლიდერობა" და სხვა). ამჟამინდელი მოცემულობით, სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა, სასწავლო კურსის თითოეული თემისთვის/კვირეული მეცადინეობისთვის არ აღემატება 30-40 გვერდს. გათვალისწინებულია ასევე ისეთი ლიტერატურის განახლების აუცილებლობა, რომელიც მცირე ზომის სტატიების სახითაა წარმოდგენილი, რომელთა რელევანტურობა შესაძლებელია შეიცვალოს შემდგომ სასწავლო წლებში. გარდა ზემოაღნიშნულისა, შემუშავდა საკითხავი კონსპექტები სასწავლო კურსების მიხედვით და მეცადინეობის გეგმები, სადაც განისაზღვრა სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის მისაღები რაოდენობა და სემინარზე განსახილველი საკითხები.
რჩევა[29]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	სილაბუსები - IS100, GS100, SL100, DP100, PS100 და AW100; „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა" GS100 სასწავლო კურსის რიდერი; ამონაწერები კათედრის სხდომის ოქმებიდან; ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808 .

სტანდარტის დასახელება[30]	სტანდარტი 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,

[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[30]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[31]	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია V[32]	აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსში მეტად მოხდეს ფოკუსირება მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე რაოდენობრივი თუ თვისებრივი მეთოდებით
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო კურსის „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდები“ ფარგლებში მეტი დრო დაეთმო რაოდენობრივ მეთოდს, სტატისტიკური და ანალიტიკური მონაცემების დამუშავების ტექნიკებს და პრაქტიკულ-სასემინარო მუშაობას. შედეგად, კურსის სახელი შეიცვალა: „აკადემიური წერისა და კვლევის პრაქტიკული სემინარი“ (AW100)
რჩევა[33]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსი AW100; ამონაწერები კათედრის სხდომის ოქმებიდან; ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808

სტანდარტის დასახელება[34]	სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[35]	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია VI[36]	გადაიხედოს კურსის „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ სილაბუსის შინაარსი და

[31]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[32]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[33]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[34]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[35]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[36]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გამდიდრდეს ის საჯარო ორგანიზაციებისათვის სპეციფიკური თემებით (მაგალითად, პერსონალის მართვა სსიპებსა და ა(ა)იპებში, რეკრუტირება, მოხელეთა კარიერული და პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეფასება და სხვა), ასევე დაემატოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განხილვა.
შეფასება	**რეკომენდაცია არ შესრულებულა**, რადგან უსდ-ს არგუმენტაციით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის საკითხები ისედაც ინტეგრირებულია კურში „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“, ხოლო თავად კანონი მითითებულია, როგორც ძირითადი ლიტერატურა. რაც შეეხება რეკომენდაციის იმ ნაწილს, რომელიც ეხება სსიპ-ებისა და ა(ა)იპებისათვის სპეციფიური თემატიკით, კურსის პედაგოგის მოსაზრებით, ეს საკითხები შედის კანონის რეგულირების სფეროში, შესაბამისად არამიზანშეწონილია რომელიმე სსიპ-ის ან ა(ა)იპის ცალკე განხილვა; თუმცა, არგუმენტაციაში აღნიშნულია, რომ კურსის ფარგლებში სემინარებზე მოხდება კონკრეტული ქეისების განხილვა. რაც შეეხება „კარიერულ და პროფესიულ განვითარებას“, აღნიშნულია, რომ ეს საკითხი განიხილება სხვადასხვა თავებში, და ასევე ხაზგასმულია, რომ ეს საკითხი სილაბუსის ერთ-ერთი ავტორის სამეცნიერო საქმიანობის სფეროა, შესაბამისად სემინარები და პრაქტიკული სამუშაოები დაეთმობა რეალური შემთხვევების განხილვას. ასევე პროგრამაში პირველ სემესტრში არჩევით საგნად დაემატა „ეროვნული უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება“, სადაც სხვა საკანონმდებლო ნორმებთან ერთად განიხილება საჯარო სამსახურის ნორმატიული აქტებიც.
რჩევა[37]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის

[37]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	კურიკულუმი, სილაბუსები - HR100 და LP100; ამონაწერები კათედრის სხდომის ოქმებიდან; ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808 .

სტანდარტის დასახელება[38]	სტანდარტი 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[39]	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია VII[40]	სილაბუსებში შეფასების რუბრიკა ფორმულირდეს ისე, რომ ასახავდეს კონკრეტული საგნის სპეციფიკას, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი სწავლის შედეგის მიღწევა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** შეფასების რუბრიკები განახლდა კურსების უმეტეს ნაწილში და შეფასების ფორმები (ესსე, ზეპირი პრეზენტაცია და სხვ.) მიესადაგა კონკრეტული კურსების მოთხოვნებს. გარდა ამისა, რიგ კურსებში ამოღებულია დასწრების კომპონენტი და ქულა გადანაწილებულია სემინარზე აქტივობის შეფასებაში.
რჩევა[41]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის სილაბუსები - AW100, PS100, SL100, GS100, SC100, SM100, HR100, LG100, ES100, MA, IS100, DP100, TC100, LP100, PF100, PR100; ამონაწერები კათედრის სხდომის ოქმებიდან; ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808 .

[38]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[39]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[40]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[41]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება[42]	სტანდარტი 1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[43]	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია VIII[44]	გადაიხედოს პრაქტიკული (პროფესიული) პროექტის სილაბუსი და გამდიდრდეს ის პრაქტიკული პროექტის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, მათ შორის უნდა იყოს, პროექტის სტრუქტურა, ცალკეული ეტაპების განხორციელების ვადები და თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროფესიული (პრაქტიკული) სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი განახლდა, მათ შორის, შეფასების კომპონენტი, ნაშრომზე მუშაობის ვადები და ხელმძღვანელთა რაოდენობა
რჩევა[45]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	„პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომის“ (MA) სილაბუსი; ამონაწერები კათედრის სხდომის ოქმებიდან; ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808 .

სტანდარტის დასახელება[46]	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[47]	2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია [48]	ამ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაცია არ

[42]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[43]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[44]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[45]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[46]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[47]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	გაცემულა
შეფასება	n/a
რჩევა II[49]	შემდეგ კურსებში: ლოჯისტიკა საჯარო სექტორში, უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები, სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები, სტრატეგიული ლიდერობა, სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში - სასურველია სწავლების მეთოდებს შორის სიტუაციის ანალიზის, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის სიმულაციური პროგრამების გამოყენება;
შეფასება	რჩევა მიღებულია შესასრულებლად. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილია პრაქტიკული სწავლებების განხორციელებისას სიმულაციური სწავლების პროგრამების გამოყენება (JCAT, LMS, LXP და სხვ.)
მტკიცებულებ(ები)ა	რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

სტანდარტის დასახელება[50]	სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[51]	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია IX [52]	გაიზარდოს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში დარგობრივი მიმართულებით უსდ-სთან ასოცირებული, დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგების ჩართულობა; ამისათვის პროგრამის აკადემიური პერსონალი გამდიდრდეს პოლიტიკის მეცნიერებების ან უსაფრთხოების პროგრამების პროფესორების მოწვევის, ასევე თიას-სიდან მოწვეული პერსონალისთვის რაიმე სახის აკადემიური თანამდებების კონტრაქტის შეთავაზების ხარჯზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას

[48]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[49]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[50]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[51]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[52]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	და განვითარებას.
შეფასება	**რეკომენდაციის შესრულება ხორციელდება**. დაგეგმილია თიას-იდან მოწვეული პერსონალისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობებით კონტრაქტების შეთავაზება, უსდ-ში არსებული პრაქტიკისა და ნორმატიული აქტების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ თიას-ის პერსონალი მაქსიმალურად ჩაერთოს ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ სამეცნიერო პროექტებსა თუ საგრანტო კონკურსებში
რჩევა[53]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამა და სილაბუსები; ამონაწერები კათედრის სხდომის ოქმებიდან; ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ https://tsu.ge/ka/legalakad/48808 .

სტანდარტის დასახელება[54]	სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[55]	4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია
რეკომენდაცია X[56]	უსდ-მ მოახდინოს დამატებით კადრების მობილიზება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის ან პროექტის შესრულებისას მოწვეული პერსონალიდან მოახდინონ თანახელმძღვანელის დანიშვნა, რადგან 3 პირი არ იქნება საკმარისი, რათა 25 კაცს გაუწიოს სამაგისტრო ნაშრომის

[53]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[54]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[55]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[56]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ხელმძღვანელობა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია**. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში გაზრდილია ლექტორების რაოდენობა 3-დან 10-მდე. ხელმძღვანელები შერჩეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული დონის მიხედვით. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა პედაგოგებსაც განესაზღვრებათ ხელმძღვანელის ფუნქციები. აღნიშნული კონტიგენტისა და ფაკულტეტის სხვა პროფესორ-მასწავლებლების ერთობლიობით მოხდება ნაშრომების დაცვისათვის კომისიის შექმნა და ნაშრომის დაცვის პროცესის ორგანიზება.
რჩევა[57]	ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა არ გაცემულა
შეფასება	n/a
მტკიცებულებ(ები)ა	პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომის (MA) სილაბუსი; სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის ავტობიოგრაფიები (CV).

სტანდარტის დასახელება[58]	სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[59]	4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია [60]	ამ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაცია არ გაცემულა
შეფასება	n/a
რჩევა[61]	დარწმუნდით, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსება ადეკვატურია, ინკლუზიურია და საკმარისია ყველა სტუდენტის, აკადემიური თუ

[57]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[58]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[59]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[60]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[61]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	მოწვეული პერსონალისთვის. ჩაატარეთ დამატებითი კვლევები მივლინებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერით ფაკულტეტის რამდენმა პროცენტმა ისარგებლა და დაადგინეთ დაფინასების სუსტი წერტილები, რათა მოახდინოთ ბიუჯეტის უფრო ეფექტიანი და ინკლუზიური ხარჯვა.
შეფასება	რჩევა მიღებულია განხორციელებისათვის. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაგეგმილია მონიტორინგის განხორციელება ბიუჯეტით გამოყოფილ დაფინანსების ეფექტიან და ინკლუზიურ ხარჯვაზე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ
მტკიცებულებ(ები)ა	რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

თანდართული დოკუმენტაცია[62]

1. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში
2. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
3. პროგრამის სილაბუსები:
    a) აკადემიური წერისა და კვლევის პრაქტიკული სემინარი (AW 100)
    b) უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები (PS 100)
    c) სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები (SC 100)
    d) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა (GS 100)
    e) სტრატეგიული ლიდერობა (SL 100)
    f) სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში (SM 100)
    g) ლოგისტიკა საჯარო სექტორში (LG 100)
    h) ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში (HR 100)
    i) ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოება (ES 100)
    j) პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი (MA)
    k) ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა და მართვა (DP 100)
    l) თეატრის სტრატეგიისა და კამპანიის დაგეგმვა (TC 100)
    m) საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოება (IS 100)
    n) ეროვნული უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება (LP 100)
    o) საჯარო ფინანსები (PF 100)

[62]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

4. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა (GS100) სასწავლო მოდულის რიდერი
5. სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის (ძირითადი და მოწვეული) ავტობიოგრაფიები (CV):
6. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკები:
    a) პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
    b) პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასების რუკა
    c) პროგრამის შედეგების რუკა
7. ამონაწერები კათედრის სხდომის ოქმებიდან:
8. ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან

ექსპერტის ხელმოწერა